



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

პრძნება № 254

თბილისი

„ 17 „ 03 2017 წ

მე-12 კლასში შემავალი საგნის/საგნების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება) ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის, ცენტრალიზებულად, ელექტრონული ფორმით, ჩასატარებელი გამოცდების განრიგის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების, „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N18/5 ბრძანებით დამტკიცებული ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების მე-7 მუხლის 21 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2017 წლის 14 მარტის N240642 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს მე-12 კლასში შემავალი საგნის/საგნების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება) ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის, ცენტრალიზებულად, ელექტრონული ფორმით, ჩასატარებელი გამოცდების განრიგი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. დაევალოს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს ამ ბრძანების გაცნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრებისათვის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის;

3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).

ალექსანდრე ჯავალავა

დანართი

მე-12 კლასში შემავალი საგნების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება) ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დასაძლევი გამოცდების ჩატარების განრიგი

N	საგანი	თარიღი	დრო
1	ქართული ენა და ლიტერატურა	21 მარტი, 2017 წელი	I სესია - 10:00
			II სესია - 13:00
2	მათემატიკა	22 მარტი, 2017 წელი	I სესია - 10:00
			II სესია - 13:00
3	ისტორია	23 მარტი, 2017 წელი	I სესია - 10:00
			II სესია - 13:00
4	სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება	24 მარტი, 2017 წელი	I სესია - 10:00
			II სესია - 13:00
5	ინგლისური ენა	25 მარტი, 2017 წელი	I სესია - 10:00
			II სესია - 13:00